საქართველოს მთავრობის

დადგენილება №574

2021 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისი

„გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე 6 გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის №333 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის მე-14 ნაწილისა და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე 6 გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის №333 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/06/2018, 330090000.10.003.020653) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**